ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.05.2018
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 007/18

შეკითხვა:

ადვოკატი, რომელიც არის მხოლოდ ადვოკატთა ასოციაციის წევრი და რეალურად არ ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას, აღნიშნული გარემოება ითვლება თუ არა საადვოკატო საქმიანობად და შეუძლია თუ არა ასეთ დროს ის გახდეს საჯარო სამსახურის თანამდებობის პირი?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია ის მოთხოვნები, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაძლებელია პირმა მოიპოვოს ადვოკატის სტატუსი. შესაბამისად, პირი, რომელიც გაწევრიანებულია ადვოკატთა ასოციაციაში - წარმოადგენს ადვოკატს, რაც საადვოკატო საქმიანობის განხორციელებას გულისხმობს. შესაძლებელია, პირი იყოს ადვოკატის სტატუსის მქონე, მაგრამ ის არ ეწეოდეს პრაქტიკულ საქმიანობას, თუმცა აღნიშნული გარემოება, მას არ ათავისუფლებს პროფესიული პასუხისმგებლობისგან და ის ვალდებულია იმოქმედოს კანონის და ეთკური ვალდებულებების დაცვით, მათ შორის არ დაარღვიოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც „ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი ან სხვა პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება“. შეკითხვიდან გამომდინარე ირკვევა, რომ მოქმედ ადვოკატს სურს ამავდროულად წარმოადგენდეს საჯარო სამსახურის თანამდებობის პირს, ასეთ შემთხვევაში, ადვოკატი არ უნდა იკავებდეს ზემოაღნიშნული ნორმით განთვალისწინებულ თანამდებობას.

დასკვნა:

მოქმედი ადვოკატის სტატუსი, თავისთავად გულისხმობს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებას. ადვოკატის მიერ პროფესიული ნორმების დაცვა დამოკიდებული არ არის ადვოკატი რა სიხშირით ახორციელებს პრაქტიკულ საქმიანობას, არამედ მისი მოქმედი სტატუსი უკვე

მას ავალდებულებს იმოქმედოს კანონის შესაბამისად, მათ შორის არ დაარღვიოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონიეს მე-10 მუხლის მე0-3 პუნქტი.

ეთიკის კომისიას წერილობითი შეკითხვით ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.